

დამტკიცებულია სსიპ „საქართველოს
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის
2021 წლის 19.07 № 03-07 ბრძანებით

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი
უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და
პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები



ქ.თბილისი, 2021 წ

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზნები და მოქმედების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურებს.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმებისა და პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.
3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ითანამშრომლოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან, დაემორჩილოს მის მიერ გაცემულ მითითებებსა და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ წესებს.

თავი II. უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს:
 - ა) კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;
 - ბ) კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოებას
 - გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;
 - დ) კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
 - ე) უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებს;
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის აღჭურვილობა

1. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით:
 - ა) დამონტაჟებულია სახანძრო სისტემა, კვამლის დეტექტორი, ავარიული განათება.

- ბ) დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია (სამისამართო ტიპის)
- გ) კოლეჯში არის სახანძრო სიგნალიზაციის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტი, საიდანაც მიმდინარეობს 24 საათიანი მორიგეობა.
- დ) პუნქტი აღჭურვილია სატელეფონო მოწყობილობითა და 3 ელექტრო ფარნით. გამოკრულია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღებისა და მორიგეს მოქმედების წესი.
- ე) მოწყობილია სახანძრო კარადები
- ვ) დამონტაჟებულია საგანგაშო ღილაკები და ხმოვანი სირენები
- ზ) დამონტაჟებულია გასასვლელი მაჩვენებლები
- თ) განთავსებულია ცეცხლმაქრები; მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან;

2. შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად , საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები;

მუხლი 4. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები.

1. კოლეჯში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. უსაფრთხოების სპეციალისტი უფლებამოსილია:

- ა) კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, გაატაროს საჭირო ღონისძიებები შესაბამისი (მთავრობის დადგენილება "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ“) დადგენილების ფარგლებში;
- ბ) შემხვედრ საჭიროებებზე საპასუხოდ იმოქმედოს დაუყოვნებლივ, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმების გარეშე;
- გ) ისარგებლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი რეგულაციებით;
- დ) ჩაატაროს სწავლება სახანძრო განგაშის სიმულირების გზით წელიწადში ოპრჯერ;
- ე) ჩაატაროს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, ექვს თვეში ერთხელ.
- ვ) ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს უსაფრთხოების სპეციალისტი.
- ვ) მოსთხოვოს კოლეჯში დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მისი მართლზომიერი მითითებების შესრულება.

3. უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს შენობის დაცვა და მინიმუმამდე დაიყვანოს შენობაში საფრთხის რისკები, რისთვისაც ის ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ამოწმებს აუდიტორიებსა და კაბინეტებს (ელექტროგაყვანილობა, სანტექნიკა, კარ-ფანჯარა და სხვა);

ბ) აკონტროლოს კოლეჯსა და საერთო სარგებლობს ფართზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

გ) კოლეჯში დასაქმებულთათვის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისთვის ჩაატაროს სწავლება/შეხვედრები/ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოებისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით;

დ) აწარმოოს ჟურნალი, სადაც აღირიცხება შეხვედრები/ტრენინგების მონაწილეთა შესაბამისი ხელისმოწერით.

დ) იქონიოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაცია კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით;

ე) დამატებითი რესურსების აუცილებლობის შემთხვევაში დასაბუთებული მოთხოვნით მიმართვა დირექტორთან და პროცესის მართვა;

4. წესრიგის დაცვის მიზნით უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი ახორციელებს კოლეჯის ტერიტორიაზე თამბაქოს, ალკოჰოლური და სხვა თრობის საშუალებების მოხმარების კონტროლს;

5. წესრიგის დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტი ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით;

თავი III. პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები

მუხლი 5. პირველადი სამედიცინო დახმარება

1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი დახმარების გაწევას.

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი ინვენტარი განთავსებულია კოლეჯში შენობის სასწავლო პერიმეტრზე.

3. პირველადი გადაუდებელი დახმარების კარადში ინახება საჭირო სამედიცინო ინვენტარი, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები და მედიკამენტები.

4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია სპეციალური განათლების მქონე ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება

5. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მოითხოვოს აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების შეძენა.

ბ) მიმართოს კოლეჯის ხელმძღვანელს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

მუხლი 6. პასუხისმგებელი პირის უფლებები და ვალდებულება:

1. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;

გ) პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;

დ) აკონტროლოს არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;

ე) აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის ელექტრონულად ან სპეციალურ ჟურნალში შეტანის გზით;

2. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა) კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით;

ბ) კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს შესაძენად აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების ნუსხა;

გ) კოლეჯის დირექტორს მიმართოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებებით ჩანაცვლების თაობაზე.

3. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

თავი IV. სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქცია

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი ვალდებულია დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო პირობები, შეასრულოს შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული წესები; განახორციელოს ღონისძიებები ტექნიკის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში.
2. კოლეჯის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია დასაქმებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოებასა და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე კოლეჯში მათი ყოფნისა და კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.
3. კოლეჯი ვალდებულია, დაიცვას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის „საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ N28/ნ ბრძანება.
4. დასაქმებულების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პირველადი დახმარების აღმოჩენის, შენობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების ინსტრუქციის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და თამბაქოს მოწევის აკრძალვის წესების შესრულება კოლეჯის დირექტორის სათანადო ბრძანების, საქართველოს შრომის კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
5. აკრძალულია კოლეჯის შენობაში ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა;
6. დასაქმებული ვალდებულია:
 - ა) დაიცვას კოლეჯის შინაგანაწესის პირობები;
 - ბ) შეასრულოს კოლეჯის ადმინისტრაციის მითითებები;
 - გ) გაუფრთხილდეს მასზე მინდობილ კოლეჯის ქონებას, დაზიანების ან დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს/შესაბამის პასუხისმგებელ პირს სამსახურებრივი ბარათი აღნიშნული ფაქტის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე მინდობილი ქონების დაკარგვის შემთხვევაში ვალდებულია აანაზღაუროს მისი ბრალეული ქმედების შედეგად კოლეჯისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი;

დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
ე) წესრიგში იქონიოს თავისი სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე და სიმშვიდე დაწესებულებაში.

7. დასაქმებული, რომელიც არასამუშაო დროს იმყოფება სამუშაო ადგილზე და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს, ამავე დროს ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული წესები და გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას.

8. დასაქმებული ვალდებულია გაუფრთხილდეს კოლეჯის მიერ სამუშაოს შესასრულებლად მასზე გადაცემულ გასაღებს/გასაღებებს, ლეპტოპი და ა.შ. და არ დაუშვას უშუალო ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე მათი გადაცემა მესამე პირთა მფლობელობაში და კოლეჯის ტერიტორიიდან მათი გატანა.

9. კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს ისეთი ქმედება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს დასაცავად, რომელიც წინამდებარე წესით/შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული, თუმცა, შესაძლოა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას.

10. კოლეჯის ტერიტორიაზე სკოლის მოსწავლეების/მცირეწლოვანი ბავშვების ვიზიტის შემთხვევაში, საჭიროა მათი მუდმივი მეთვალყურეობა თანმხლები პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ. არ შეიძლება სკოლის მოსწავლეების/მცირეწლოვანი ბავშვების შეშვება საფრთხის შემცველ ადგილებში ან ნებისმიერ სხვა ადგილას (მაგ. კოლეჯის აუდიტორია, სასწავლო სახელოსნო), სადაც ზედამხედველი პირი ჩათვლის, რომ ელექტროჩამრთველების, ელექტრომოწყობილობებისა და სხვა ტექნიკის უნებართვო გამოყენება საფრთხის შემცველია.

11. კოლეჯის , ტერიტორიაზე/სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებული/სხვა პირი ვალდებულია იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებით, ამ წესით და დაემორჩილოს დადგენილ სამუშაო პროცედურებს. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები, დაემორჩილოს კოლეჯის ტერიტორიაზე/სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

მუხლი 6 - გარდამავალი დებულებები

1. სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ .

ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც არგუმენტირებული მოთხოვნით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.

3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

